თუმცა მიმართულებით და „საქართველო“ არ [illegible] [illegible], მაგრამ [illegible] [illegible] და [illegible].

# საქართველო

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანო

წლიური ფასი : **5** მან. თითო ნომერი : **25** კაპ.

| № 1 (13) | წელიწადი მეორე | 1 მაისი 1904 წ. | № 1 (13) |
|---|---|---|---|

რედაქციისა და ადმინისტრაციის ადრესი :
**51, rue Saint-Sauveur, PARIS.**

ცალკე ნომრები ისყიდება :
**SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION.**
**17, rue Cujas. PARIS (Ve).**

## შ ი ნ ა ა რ ს ი

რა გადმოგვცა წარსულმა წელმა? — ქართულ ცხოვრების მატიანე. — ქართველ ერს (მეგრელისა). — ქართ. რევ. პირველი კონფერ. („რ. რ.“ გადმობეჭდილი). — რა ხდება დღეს პოლონეთში. — სამხედრო რუსეთის უძლურება. — ფოსტის ყუთი. — განცხადება.

## რა გადმოგვცა წარსულმა წელმა?

პირველ მაისს სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც « საქართველო » დაარსდა. წარსულ ნომრის მეთაურ წერილში უკვე გადავავლეთ თვალი ჩვენის ორგანოს მიერ შემოხაზულ აზრთა ფარგალს, გამოვარკვიეთ ორგანოს პოზიცია, განვმარტეთ მისი პოლიტიკური და სოციალური ფიზიონომია, რომელიც თან-და-თან წლის განმავლობაში ისახებოდა. ამ ჟამად უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რა სამსახური გაგვიწია « საქართველომ » და მისმა ფრანგულმა გამოცემამ — « La Géorgie »-მ ქართველ ხალხის მდგომარეობის პროპაგანდის საქმეში სხვა ერთა შორის, და აგრეთვე უნდა გადავავლოთ თვალი, თავის დასკვნა-განმარტებით, წარსულ წლის მიერ ნაანდერძევ აზრების და კითხვების სქემას.

ამ ერთის წლის წინად არც ევროპიელ საზოგადოებასა, არც რუსეთის სარევოლუციო ჯგუფებსა, არც რუსეთში მცხოვრებ ეროვნებათა წრეებში, არსად და არავინ იცოდა, რომ არსებობს ქართველი ხალხი, რომელსაც სხვებრ სიცოცხლე და თავისუფლება სწყურია. საქართველო ზოგიერთ მეცნიერს თუ აინტერესებდა, როგორც საარქეოლოგიო და საეტნოგრაფიო გამოკვლევათა ობიექტი; ხოლო ქართველი ხალხი, როგორც მებრძოლი, თავისუფლების მოსიყვარულე და სამართლიანობის მოტრფიალე ხალხი, უმრავლესობისათვის უცნობი იყო. ამ მხრივ ეხლა გარემოება რადიკალურად შეიცვალა. რაკი ხმა ამოვიღეთ, სხვებმაც დაიწყეს ჩვენს შესახებ ლაპარაკი. რაკი ბრძოლა ვიწყეთ, სხვებმაც ჩაგვრიცხეს სხვა მებრძოლ ერთა რიცხვში. რაკი ჩვენი ღირსება ჩვენსავე თვალში ავამაღლეთ, სხვებმაც პატივისცემა გამოგვიცხადეს. ასეა ამ წუთისოფელში. ვინც დადუმებულია, მას არავინ იხსენიებს, ვინც წუწუნსა და გოდებაში ატარებს სიცოცხლეს, მას არამც თუ არ თანაუგრძნობენ, პატივსაც არა სცემენ. მხოლოდ ბრძოლა და გამბედაობა არის დავიწყების და გულგრილობის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება. მხოლოდ ბრძოლით იმსახურებს ერი სხვა ერთა თანაგრძნობას.

და აი ეხლა ევროპასა, ევროპიულ საზოგადოებასა და პრესაში, როცა რუსეთს იხსენიებენ, როცა დაჩაგრულ ერთა შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი, ქართველ მშრომელ ხალხის და ქართველთა ეროვნების დაჩაგვრასაც აღნიშნავენ ხოლმე. ევროპიულ პრესის აზრი ქართველების შესახებ ნათლად გამოირკვა. მართალია, იგი გამოირკვა იმ მხრივ, რომ ევროპისაგან ქართველები არავითარ აქტიურ დახმარებას ვერ მიიღებენ. ხოლო ჩვენის პოლიტიკურ თვითშემეცნების განვითარებისათვის ძლიერ სასარგებლოა, რომ ეხლა დაბეჯითებით ვიცით, რომ « ქართული კითხვა » დღეს ევროპიულ დიპლომატიის კითხვა არ არის, რომ რაღაც « დესანტების » იმედებს თავი უნდა დავანებოთ და ევროპისაგან ზნეობრივ დახმარების მეტს არაფერს უნდა მოველოდეთ.

რაიც შეეხება რუსეთის სარევოლუციო წრეებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ არამც თუ დაიწყეს ლაპარაკი ქართველების შესახებ, არამედ ზოგიერთ პარტიების პროგრამებში ეროვნულ კითხვის გადაწყვეტის პრობლემა იმნაირად წამოაყენეს, როგორც ჩვენ გვინდოდა და ჩვენი სურვილი იყო. მართალია, რუსეთის ოპოზიციონისტ-ლიბერალები გარკვეულ აზრის თქმას ერიდებიან, ვერ ჰბედავენ ფედერალიზმის გათვალისწინებას, ხოლო დღევანდელი ფორმა ეროვნულ კითხვის გადაწყვეტისა არც მათ აკმაყოფილებსთ.

მართალია, რუსეთის სოციალ-დემოკრატები მოწინაღმდეგენი არიან ეროვნებათა ავტონომიისა და რუსეთში ფედერატულ წყობილობის შემოღებისა, ხოლო მათაც დააღწიეს თავი უკიდურესს პოლიტიკურ ცენტრალიზმს და თავიანთ პროგრამაში ოლქებრივი თვით-მმართველობაზე აქვსთ ლაპარაკი. რასაკვირველია, ოლქებრივი თვით-მმართველობა არა სწყვეტს ეროვნულ პრობლემას, ხოლო უნდა გვახსოვდეს, რომ წინად სოც.-დემოკრატიულ პროგრამებში სრულებით არა იყო რა რუსეთის განაპირა ქვეყნების ორგანიზაციის და მოწყობის შესახებ. ს.-დემოკრატიამ გაუბედავი, ხოლო პირველი ნაბიჯი წასდგა წინ ამ ნიადაგზე და აქ, ამ საქმეში, ჩვენის ორგანოს გავლენასაც ჰქონდა თავისი ადგილი, როგორც ეგ გამოირკვა რ. ს.-დ. მეორე კონგრესის სხდომებზე. აქ ზოგიერთი სოც.-დემოკრატი, სხვათა შორის, ავტონომიის პრინციპის დამცველად იმიტომ გამოვიდნენ, რომ ავტონომიას მათვის უნდა მიეცა იარაღი « საქართველოს » (ვითომდა ნაციონალურ ორგანიზაციის) (1) წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ორგანიზაციისა, რომელიც იმავე ავტონომის დამცველად გამოვიდაო.

როგორც უკვე მკითხველებმა იციან, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერები დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ ჩვენ მიერ წამოყენებულ ფედერალიზმის პრობლემას და ჩვენის პარტიის სარევოლუციო ასპარეზზე გამოსვლასაც. ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციაზე შემუშავებულ რეზოლუციების შესახებ « რევ. როსია », სხვათა შორის, აი რას ამბობს : « რასაკვირველია, ამ რეზოლუციებს გაშალაშინება, გადაკეთება და განმარტება მოელის, ხოლო დღესაც, ეხლანდელ რედაქციითაც, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც პირველ გაბედულ სარევოლუციო ნაბიჯს, და ჩვენ წრფელის გულით ვუგზავნით სალამს ჩვენს ქართველ ამხანაგებს. ვუსურვებთ მათ წარმატებას სარევოლუციო სოციალიზმის პრობლემათა განმარტების საქმეში, რათა იგი სოციალიზმი საქართველოს თავისებურ პირობებშიაც დამკვიდრდეს. და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იქ, კავკასიაში, რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერები საერთო მოქმედებისათვის ვიწროდ დაუკავშირდებიან და დაუმეგობრდებიან მათ. ჩვენის აზრით, რევოლუციონერ-სოციალისტების სხვა-და-სხვა ორგანიზაციების ფორმა გახდება პროტოტიპ ფორმად სხვა-და-სხვა ერთა ორგანიზაციებისა და ერთმანერთთან დაკავშირებისა : ავტონომია შეიქმნება აუცილებელი ორგანიზაცია განსაზღვრულ ერის ფარგალში სამშობლო ენის საშუალებით მუშაობისათვის ამ ერის განსაკუთრებულ თვისებათა მიხედვით — და ერთა შორის ფედერატულ კავშირის განმტკიცება თავდები იქმნება სოც.-რევოლუციონურ მოძრაობის ზრდისა და განვითარებისა » (1). ამრიგად გვიცხადებენ სოლიდარობას და თანაგრძნობას რუსის სოც.-რევოლუციონერები.

გარდა ამისა, პოლონელებს, ფინლანდელებს და სომხებს ჰსურთ ჩვენთან დაახლოვება და საქმის დაჭერა. « სომეხ-რევოლუციონერთა ფედერაციის » კონგრესზე, რომელიც ამ წლის მარტში მოხდა, სხვათა შორის, გადასწყვიტეს საერთო ბრძოლისათვის ვიწრო კავშირის დაჭერა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერებთან და « საქართველოს » პარტიასთან, ე. ი. ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებთან. პოლონელ სოციალისტების პარტიას, ეგრედ წოდებულ პ. პ. ს. -ს სწადია ჩვენთან ერთად პროკლამაციების გამოცემა. ფინლანდელებს ჭკუაში დაუჯდათ ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი დაჩაგრულ ერთა წარმომადგენელთა კონგრესის მოწვევის შესახებ და ეხლა ცდილობენ ეს აზრი განახორციელონ, დაარსონ ევროპაში მომქმედი კომიტეტი, სადაც სხვა ერთა წარმომადგენლებს შორის ქართველ ხალხის წარმომადგენელიც უნდა იყოს.

ყოველივე ეს თავისუფალმა ბეჭდვითმა სიტყვამ მოახდინა. მან აალაპარაკა ხალხი, გაგვიჩინა მეგობრები, მებრძოლ ერთა რიგში ადგილი მოგვიმზადა. მან ჩვენი აზრი, მისწრაფება, ძალ-ღონე უფრო ნათლად გამოარკვია. ამგვარია წლის ნაყოფი, რომელიც ჩვენ მოვიმკეთ აქ, სამშობლოს გარედ. ხოლო რაც შეეხება ჩვენს სამშობლოს, ამაზე ლაპარაკი მომავლისათვის გადაგვიდვია. ეხლა კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, თუ დღეის იქით რა ხასიათის პრობლემებია გადასაწყვეტი ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა წინაშე.

ხასიათი პრობლემათა, რომელნიც დღეს ჩვენს წინაშე არიან წამოყენებულნი, წინა წერილებში განმარტებულ აზრთა შინაარსით განისაზღვრებიან და დახასიათდებიან.

« საქართველო » იმ აზრის დამცველად გამოვიდა, რომ სოციალისტურ წარმოების დამყარებისათვის სოფლის პროლეტარიზაციის და კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი აუცილებელი პროცესი არ არის. რა გამომდინარეობს აქედამ, რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ამ დებულებიდამ ? ის დასკვნა, რომ წარმოების გასაზოგადოებრივობას დღესვე შეიძლება დაედვას საფუძველი. და ამიტომ უნდა შევისწავლოთ და გავითვალისწინოთ ის ეტაპები სოციალურ ევოლუციისა და ის ფორმები სოციალურ წარმოებისა. რომელნიც, ჩვენის აზრით, თანამედროვე კლასებრივ პრინციპზე აშენებულ საზოგადოების დამრღვეველ ძალად უნდა შეიქმნენ. ხოლო ამ კითხ-

---

(1) „ საქართველო ” ნაციონალურ ორგანიზაციად მიაჩნიათ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ არის მარქსიზმის მიმდევარი. სოც.-დემოკრატების აზრით ვინც მარქსისტი არ არის, სოციალისტად ვეღარ ჩაირიცხება. ამ ცრუ-მორწმუნეობასაც მალე მოეღება ბოლო.
შენ. რედ.

(1) „Рев. Россія” № 46.

ვათა გათვალისწინება ორ მოვალეობას გვაკისრებს. საჭიროა სიღრმე-სიგანით გასინჯვა და შესწავლა ეგრედ წოდებულ აგრარულ კიხვებისა. საჭიროა მუშათა მოძრაობის განმარტება რევოლუციონურ-სოციალიზმის პრინციპების მიხედვით.

აგრარულ კითხვის გარჩევის დროს აუცილებლივ უნდა შევეხოთ თვით ამ კითხვების ისტორიას, დავანახვოთ მკითხველს, როგორ იყო იგი დაყენებული სოციალიზმის სხვა-და-სხვა სკოლების მიერ. ხოლო უნდა შევეხოთ საგანს არსებითად, ე. ი. გავსინჯოთ და ავწონ-დავწონოთ სათემო მიწის მფლობელობა, მეურნეობის დაცემის მიზეზები, სოფლის წარმოებაში მომხდარი ღრმა ცვლილება, კერძო საკუთრების (და არა მარტო წვრილ საკუთრების) აუცილებელი ექსპროპრიაცია, მიწის გასაზოგადოებრივება (სოციალიზაცია) — ერთი სიტყვით, ყოველი მოვლენა სამეურნეო წარმოებისა და ევოლუციისა უნდა განსაზღვრულ პრინციპის მიხედვით განვმარტოთ და აგრარულ პოლიტიკაში განსაზღვრული ადგილი დავიჭიროთ.

რაიც შეეხება მუშათა მოძრაობას, ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ის აზრი გამოგვეთქვა, რომ იგი მოძრაობა არ ექვემდებარება იმ ვითომდა საზოგადოებრივ განვითარების კანონს, რომლის ძალით პროლეტარიატის განთავისუფლება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც დამთავრდება « დიალექტური » ევოლუცია თანამედროვე წარმოებისა; როდესაც, კონცენტრაციის წყალობით, ერთის მხრივ ვითომდა ძლიერ შემცირდება კაპიტალისტთა რიცხვი, მეორეს მხრივ ძლიერ გამრავლდება პროლეტარიატთა ჯარიო. რაკი ჩვენ ამ ვითომდა კანონს უარვყოფთ, როგორც სოციოლოგიურ და ეკონომიურ ცრუ-მორწმუნეობას, ამიტომ მოვალენი ვართ ვუჩვენოთ ქართველ პროლეტარიატს განთავისუფლების სხვა გზა და აქ გავითვალისწინოთ ეგრედ წოდებულ სარევოლუციო სინდიკალიზმის მოძრაობა, რომელმაც ღრმა ფესვი გაიდგა საფრანგეთსა, ისპანიასა და იტალიაში და იგი ჩვენშიაც უნდა იყოს გადმონერგილი მუშათა ჯგუფის საკეთილდღეოდ. ამ კითხვათა განმარტება დაანახვებს ქართველ პროლეტარიატს, რა მნიშვნელობა და უპირატესობა აქვს სინდიკალურ-რევოლუციონურ ბრძოლას კაპიტალიზმის გაძლიერების წინააღმდეგ და რა რიგად აქარწყლებს იგი ბრძოლა იმ აზრს, ვითომ კაპიტალიზმის დამხობისათვის საჭირო იყოს კაპიტალიზმის და ბურჟუაზულ წყობილობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ამნაირია ჩვენს წინაშე წამოყენებული სქემა ეკონომიურ პრობლემისა.

ხოლო « საქართველოს », როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ორგანოს, სხვაგვარი მოვალეობაც აწევს კისერზე. ფედერალიზმისა და სარევოლუციო ტაქტიკის შესახებ წინ[illegible] წერილებში საზოგადო მოსაზრებანი გამოვსთქვით. ეხლა საჭიროა ამ საზოგადო მოსაზრებათა პრაქტიკული ხასიათი და დასკვნა მივცეთ. « საქართველო » ინდივიდუალურ სარევოლუციო აქტების განხილვა-მომზადებაში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან ამგვარი აქტების ჩადენა ინდივიდუალურ სინიდისის საქმედ უნდა ჩაითვალოს და პარტიის ორგანო ამ ფარგალში ფეხს ვერ შესდგავს. ხოლო ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული იმ რეალურ საშუალებათა შესწავლაზე, რომელთა საშუალებით ხალხს არამც თუ თავის დაცვა შეუძლია, არამედ მტერზე იერიშის მიტანაც. საერთო გაფიცვა და შეიარაღებული თავისდაცვა უნდა ჩაითვალოს საუკეთესო იარაღად ეკონომიურ და ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. სიტყვას « ეროვნულს » ხაზს ვუსვამთ, რადგან, მაგალითად, სკოლებსა და სასამართლოებში ქართულ ენის გამო გაფიცვის ორგანიზაციას იგივე პრაქტიკული და მორალური მნიშვნელობა ექნებოდა, რა მნიშვნელობაც აქვს ბრძოლის ამგვარ იარაღს სამუშაო დღისა და ფასის შემცირებისა და მომატების კითხვაში. იგივე ითქმის შეიარაღებულ თავისდაცვის შესახებ როგორც ეკონომიურ, ისე ეროვნულ ინტერესების დაცვის დროს.

რაიც შეეხება « ფედერალიზმს », კავკასია ამ მხრივ საუკეთესო ნიადაგია, სადაც უნდა ჩაიყაროს ამჟამად საძირკველი მომავალ ფედერალისტურ წყობილებისა. ამისათვის საჭიროა კავკასიის სხვა-და-სხვა ერთა მუშათა ორგანიზაციების ფედერატიულად დაკავშირება, რათა იგი კავშირი პოლიტიკურ ფედერაციის ნიადაგად გადაიქცეს. ამ განზრახვით ჩვენმა პარტიამ უნდა იკისროს პროპაგანდა სომხებსა, თათრებსა და კავკასიელ მთიელთა შორის. და ჩვენი ორგანოები ამ პრაქტიკულ მოძრაობის წამაქეზებელ ტრიბუნად შეიქმნებიან.

ყველა ზემოხსენებულ კითხვათა განმარტების საქმეში « საქართველო » იმდენად უფრო მეტს გამოჭრიახობას, მომზადებას და მხნეობას გამოიჩენს, რაც უფრო შეთანხმებული და ენერგიული იქმნება ჩვენის პარტიის მოქმედება. ამიტომ ვისურვებთ, რომ ჩვენმა პარტიამ დაიმსახუროს ხალხის ნდობა, რომ იგი შეიქმნეს სახალხო პარტიად, რადგან მხოლოდ მაშინ გადაიქცევა იგი ნამდვილ ძალად, როდესაც ხალხის სულის კვეთების გამომხატველად გახდება.

## ქართულ ცხოვრების მატიანე

ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ომის გამოცხადების მანიფესტის კითხვის დროს აქაურს სავაჟო გიმნაზიაში შეგირდებს სტვენა აუტეხნიათ და ამნაირად პროტესტი გამოუცხადებიათ რუსის მტარვალისათვის, რომელიც უდანაშაულო ხალხს ერთანერთს აყლეტინებს და მშრომელ ხალხის ნაოფლარსა ჰფლანგავს მორეულ აღმოსავლეთში. ადგილო-

ბრივს მთავრობას ჯერ ეწადა თურმე სრულებით დაეკეტნა გიმნაზია, მაგრამ მერე მოსაზრებულად ვერ უცვნია ეს საშუალება. სამაგიეროდ გადაუწყვეტნია მერვე კლასის მოწაფენი, ორის გარდა, ყველანი დაეთხოვა გიმნაზიიდან. დათხოვნილებში მხოლოდ სამსა აქვს უფლება სხვა გიმნაზიაში შევიდეს.

—()—

დახურულია ქ უ თ ა ი ს შ ი ვ ე სასულიერო სემინარია, რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი „საქართველოს" წინა ნომერში. სემინარიის სხვაგან გადატანა ვერ მოახერხა სასულიერო მთავრობამ. სამაგიეროდ სხვაგზით აპირებს შეგირდებისა და მათის მშობლების დასჯას: ენკენისთვეში ყველა კლასების შეგირდებმა ხელახლა უნდა დაიჭირონ შესასვლელი ეგზამენები. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, შეგირდებს ძალიან სასტიკად მოეპყრას ეგზამენებზე და რაც შეიძლება მეტი ჩასჭრას, რომ ამნაირად „კანონიერად" გაიმართლოს თავი საზოგადოების წინაშე.

მოსალოდნელია ახალი ამბოხება.

—()—

სამრევლო სკოლებში ახლა სწავლის დაწყების და დასრულებისას „მეუფეო ზეცათაო"-ს და „ღირს არს ჭეშმარიტად"-ს მაგიერ „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა"-ს ჰგალობენ ბავშვები. ამასთან, დგომელა კი არა, მუხლმოდრეკით უნდა შეავედრონ ღმერთს ნიკოლოზ II და მისი მხედრობა, რომ იაპონელთაგან სრულიად არ იქმნენ გაჟლეტილნი.

—()—

დირექციისაგან სოფლის მასწავლებლებს დავალებული აქვსთ ყოველ შაგირდს თითო მანეთი მოატანინონ ხოლმე „წითელის ჯვრის" სასარგებლოდ, რომ მერე ეს ფული ქვრივმა დედოფალმა მარიამმა (რომელიც უმაღლესად განაგებს ამ საქმეს) და მისმა გაუმაძღარმა მოხელეებმა ჩაიჯიბონ უსირცხვილოდ.

—()—

სამეგრელოსა და აფხაზეთის სკოლების მასწავლებლებს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორისაგან მოწერილობა მოუვიდათ და ებრძანათ, ბავშვებს სკოლებში უეჭველად მუნჯურის მეტოდით ასწავლონ ხოლმე, რომ ამნაირად ქართულის ხსენება სრულიად გააქრონ დასავლეთ საქართველოში.

—()—

ტფილისში ჩვენებურს უსაქმო კნეინებს კარგი საქმე გაუჩენიათ: ნიკოლოზ II-ს მეომრებისათვის პერანგის ამხანაგებსა ჰკერავენ თურმე დიდის ხალისით.....

---

## ქართველ ერს

ქართველ ერს!.. მაგრამ სად არის ქართველი ერი? სად არის საქართველო? დამონებული, შებორკილი, გამარცული, მიწასთან გასწორებული აღარსად არის იგი! აღარსად ისმის მისი თავისუფალი ხმა! აღარ მოძრაობს, აღარ მოქმედობს, აღარ გვახარებს თვისის სიცოცხლით!

საბრალო ერო! უბედურო საქართველო! მისთვის იბრძოდი ოთხი ათასის წლის განმავლობაში თავისუფლებისათვის? მისთვის ღვრიდი განუწყვეტლივ შენის შვილების სისხლსა? მისთვის არ შედრკდი ურიცხვ მტრის წინაშე? არ შეუშინდი აღმოსავლეთით, დასავლეთით, ყოველის მხრიდან მოსეულთ მტერთ? მისთვის არ იცოდი არც დღე, არც ღამე მოსვენება? მისთვის სწირავდი ყველაფერს, მისთვის ეწამე, ღვარე ამდენი ცრემლი, მისთვის გამოიჩინე იმდენი ძალა, გაბედულობა, სიმხნევე და თავგანწირულობა, რომ დღეს გაუპატიურებული მონა გგდო რუსის მთავრობის, რუსის მტარვალ მეფის ფეხთქვეშ, რომელმაც წაგართვა ენა, მიწა-წყალი, თავისუფლება, მოგისპო სამართალი; რომელიც სისხლსა გწოვს ეხლა, გახრჩობს უმოწყალოდ, ასე შეუბრალებლად? ამისთვის ინახავდი, ვით წმიდათა წმიდას, მრავალის ტანჯვით მოპოვებულს თავისუფლებას?

რაღა ხარ დღეს? გაღატაკებული, განადგურებული, ყოველს უფლებას და ღირსებას მოკლებული ერი! რუსის მტარვალის კაცები გძარცვავენ, შენს მიწა-წყალს აძლევენ სხვებს, აღარ გაძლევენ ნებას ილაპარაკო შენს დედა-ენაზე, შენი ენა გამოდევნილია შენის სკოლებიდან, სასამართლოდან, დედაენაზე არ შეგიძლია მისწერო წერილი შვილს! შენს მიწა-წყალზე, შენს სამშობლო ქვეყანაში უცხო ხარ, ქართველო ერო! მტარვალისგან დანიშნული ყაჩაღი - ჩინოვნიკები არიან შენი ბატონები, გსჯიან უსამართლოდ, ხარჯს გახდევინებენ უსამართლოდ! არავინ თხოვს მათ ანგარიშს, არავინ არის პასუხის მგებელი!

ნუ თუ უნდა ითმინო ყოველივე ეს? ნუ თუ არ გეყოფა ამდენი უსამართლობა? ნუ თუ არ ამოიღებ ხმას მტარვალთა წინააღმდეგ? საქართველოს ერო, ქართველო ხალხო! ნუ თუ არ მოგბეზრდა ამდენი მონობა? განა შენც იმისთანა ერი და ხალხი არა ხარ, როგორც სხვა ყველა ერი და ხალხია? შენც თავისუფლებისათვის არა ხარ გაჩენილი? განა შენთვისაც აუცილებლად საჭირო არ არის სამართალი, განათლება, თავისუფალი სკოლა, თავისუფალი მწერლობა? განა შენთვისაც ბედნიერება არ იქნება, რომ შენვე იყო შენის თავის ბატონი, შენის საქმის გამგე, რომ შენის გამოცემულის კანონით წარმოებდეს სამართალი?

მაშ რაღას სდუმხარ, საქართველოს ერო? რისთვის არ გინდა დაამსხვრიო მონობის ბორკილები? რისთვის არ გინდა განთავისუფლდე რუსეთის მთავრობის მტარვალობისაგან, რომ შენც გვერდში ამოუდგე განათლებულ ერებს და მათთან ერთად ემსახურო კაცობრიობას, ქვეყნიერებას, კეთილდღეობას? ქართველო ერო, გაიხსენე წარსული დღენი, როდესაც შენ იყავ თავისუფალი და დამოუკიდებელი! მოვიდა რუსის მთავრობა და მოგატყუილა, მოგტაცა, წაგართვა ყველაფერი! ქართველო ერო, შენ უნდა დაიბრუნო შენი სამშობლო, შენ უნდა მოიპოვო თავისუფლება!

გეყოფა ამდენი გაჩუმება, ამდენი მორჩილება! გმ[illegible]ა! ან სიკვდილი, ან თავისუფალი ცხოვრება!

აღსდეგ, ხმა გაეცი მტარვალებს და მჩაგვრელებს ! უარესი დღენი გინახავს წარსულში, მაგრამ არ შეშინებულხარ. ნუ შეშინდები დღესაც ! იბრძოლე თავისუფლებისათვის, რომელიც უდიდესი ბედნიერებაა ადამიანისათვის ! მოიპოვე თავისუფლება, ურომლისოდ შეუძლებელია შენი კეთილდღეობა, განათლება, წინსვლა ! მოიპოვე თავისუფლება, რომ შენ მიერ არჩეული წარმომადგენელები განაგებდნენ შენს საქმეებს, რომ შენ მიერ არჩეული კაცები სცემდნენ ხოლმე კანონებს, რომ შენს დაუკითხავად არ გახდევინებდნენ არავითარ ხარჯს, რომ სამართალი და კანონი სუფევდეს ყველგან, რომ შენი ენა იყოს შენს სკოლასა და სასამართლოში ! მოიპოვე თავისუფლება, რომ თავისუფლად შეგეძლოს ლაპარაკი, წერა, კრების გამართვა ! ან სიკვდილი ან თავისუფლება !

ქართველო ერო ! შენს მეზობლებს სომხებს და თათრებსაც სწყურიათ თავისუფლება ! ისინი შენთან არიან, ისინიც იბრძვიან თავისუფლებისათვის ! ისინიც ჩვენი ძმები არიან, ერთის კავკასიის შვილები ვართ ყველანი ! მაშ ერთად, ერთად მოვიპოვოთ თავისუფლება !

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს ! გაუმარჯოს კავკასიის განთავისუფლებულ ერთა კავშირსა და ერთობას !

**მეგრელი.**

---

## ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია (1)

ამ წლის აპრილში ქ. ჟენევაში გაზეთ „საქართველოს" მოწოდების თანახმად თავი მოიყარეს ქართველ სარევოლუციო დასთა წარმომადგენლებმა პირველ თავისუფალ კონფერენციაზე დასასწრებლად. ამ კონფერენციაზე უნდა გამორკვეულიყო ხსენებულ დასთა ურთიერთობა, უნდა მოელაპარაკნათ საქართველოს აწინდელ მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს სარევოლუციო ბრძოლის საქმე ამ ქვეყანაში.

კონფერენციას დასაწყისში დაესწრნენ წარმომადგენელნი ქართველთა ოთხის დასისა : სოციალ-დემოკრატები, სოც.-რევოლუციონერები, სოციალისტ-ავტონომისტები ანუ ფედერალისტები („საქ." მომხრენი) და ანარხისტები. მაგრამ ქართველ ს.-დემოკრატებს კონფერენციაზე იმავთავითვე თავისებურად ეჭირათ თავი. სანამ რაიმე პრინციპიალურ ხასიათის კითხვებს შეეხებოდნენ ან სანამ ამა თუ იმ მოხსენებას წაიკითხავდნენ, ისეთ კილოზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ აშკარად ეტყობოდათ წადილი კონფერენციისათვის სისტემატიურად ხელი შეეშალათ.

ბოლოს კონფერენციამ დიდის ხმის უმეტესობით უკუაგდო სოციალ-დემოკრატთა წადილნი. სოციალ-დემოკრატები (ხუთი კაცი) გაბრაზდნენ და პროტესტის გამოსაცხადებლად დარბაზიდან გავიდნენ. ვინც დარჩნენ, შეუდგნენ პროგრამის გარჩევას და სარევოლუციო ტაქტიკის განხილვას და აწონ-დაწონვასა. მათ მიერ გამოტანილი რეზოლუციები (იხ. „საქ." დამატება № 1.) შეადგენს მათის მუშაობის პრაქტიკულ შედეგს. ეს რეზოლუციები საერთოდ წარმოგვიდგენენ სამირკველს, რომელზედაც დამყარებულია პროგრამა და ტაქტიკა ახლად შემდგარის პარტიისა. ეს არის : „ქართული პარტია სოციალისტ-ფედერალისტ რევოლუციონერთა". ხოლო „საქართველო" და აგრეთვე მისი ფრანგული გამოცემა «La Géorgie», ახალ პარტიის ორგანოებად ხდებიან.

ახალი პარტია, ჩვენის აზრით, მეტად საფუძვლიანად მოიქცა, რომ თავისი პროგრამა სავსებით ერთბაშად არ გამოაცხადა. არამედ ჯერ მთავარ საკითხთა შესახებ მოკლე რეზოლუციები იკმარა. ოფიციალურ პროგრამის გამოქვეყნებას უნდა წინ უძღოდეს სასოციალ-რევოლუციო თეორიისა და პოლიტიკის კითხვათა შემუშავება საპარტიო ლიტერატურაში. ამ კითხვათა შესახებ თავისუფალმა მსჯელობამ უნდა ყოველმხრივ გამოარკვიოს იგინი და ამნაირად მოამზადოს ნიადაგი მათს გადასაწყვეტად, გადასაწყვეტად სხვა-და-სხვა განცალკევებულ სარევ. დასთა კონფერენციაზე კი არა, არამედ პარტიულ კრებაზე ქართველ რევოლუციონერთა, რომელთაც ერთ თავიანთ უახლოეს მიზანთაგანად მიაჩნიათ ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე ბრძოლა ფედერატიულ კავშირისათვის, რომელიც უნდა დამყარდეს განთავისუფლებულ რუსეთის შემადგენელ ნაწილთა შორის.

მათ მიერ მიღებულ რეზოლუციებში, რა თქმა უნდა, მხოლოდ საზოგადო ხაზეა ახალის პარტიის პროგრამისა და ტაქტიკის საფუძველთა. ეს რეზოლუციები თან-და-თან უნდა განავითარონ, შეამუშაონ. მაგრამ დღევანდელ სახითაც ეს რეზოლუციები წარმოგვიდგენენ ფრიად საყურადღებო და საპატიო ნაბიჯს, რაიც არ შეგვიძლია სულითა და გულით არ მივულოცოთ ჩვენს ქართველ ამხანაგებს. ვუსურვებთ წარმატებით შეიმუშაონ მთავარი პრინციპები სარევოლუციო სოციალიზმისა და ეს პრინციპები შეუფარდონ საქართველოს ცხოვრების თავისებურ პირობებს. და ვიმედოვნებთ, რომ რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ორგანიზაციის წევრები ალაგობრივ მათთან შეთანხმებას მოახერხებენ, რათა მათ შორის უფრო მჭიდრო კავშირი დამყარდეს, რათა მათი საერთო ბრძოლა და მოქმედება ერთსულოვანი იქმნეს. ჩვენის ფიქრით, სოციალისტთა სარევოლუციო ორგანიზაციები კავკასიაში უნდა იქმნეს აქაურ ხალხთა საერთო ცხოვრების ორგანიზაციის პროტოტიპად : სრული ავტონომია უნდა ჰქონდეს მინიჭებული ორგანიზაციას ამა თუ იმ ეროვნებათა შორის მუშაობის დროს ; ამ მუშაობის დროს უნდა იხმარებოდეს ენა ამ ეროვნებისა ; თვით ბრძოლა და მუშაობა შეფარდებულ უნდა იქმნეს ადგილობრივ პირობებთან და ამნაირად მტკიცე ფედერატიული გაერთიანება უნდა არსებობდეს წესიერ მუშაობისათვის, რათა საერთო სასოციალისტ-რევოლუციო საქმის ინტერესებმა სრული გამარჯვება დაიმკვიდრონ.

(მოყვანილია ქართულ კონფერენციის რეზოლუციები).

ჩვენ არა ერთხელ გვქონება შემთხვევა შევეხოთ ქართულ სოციალისტ - ფედერალისტ - რევოლუციონერთა პარტიის პროგრამის მუხლებს თითოეულს ცალ-ცალკე. ჯერ კი შევჩერდებით მათის ერთს მუხლზე, — ეს მუხლი შეეხება სხვა-და-სხვა ერთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების საქმის გადაწყვეტას. ეს კითხვა ახალს პარტიას მთავარ კითხვად მიაჩნია და თვით მათი სახელი „ფედერალისტნი" ხაზს უსვამს მისწრაფებას : საქართველოს ავტონომია მიანიჭოს და ფედერატიულად დაუკავშირდეს როგორც კავკასიის სხვა ავტონომიურ ერთა, ისე რუსეთსა. უმთავრესად ამ კითხვის გამოა, რომ უთანხმოება და მტრული განწყობილება ჩამოვარდა ამ ახალს პარტიასა და „სრულიად რუსეთის" სოციალ-დემოკრატიას შორის.

---

(1) წერილი დაბეჭდილი საზღვარგარეთელ სარევოლუციო ორგანო „რევოლუციონაია როსია"-ში (№ 46).

უკვე ვიცით, რა მწვავი ხასიათისაა რეზოლუცია, კონფერენციის მიერ მიღებული, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ. ამ რეზოლუციას ძლიერ ეტყობა გულისწყრომა, რომელიც უეჭველად უნდა გამოეწვია ს.-დემ. ასირებულ საქციელს და იმ ცენტრალისტურ ტენდენციებს, რომელნიც „ისკრამ" აუცრა მათ. „ისკრის" ტაქტიკამ აქაც, როგორც სხვა კითხვებშიაც, თავისი მოშხამული ნაყოფი გამოიღო. სოციალ-დემოკრატთა ცდა სხვა რაღაა, თუ არ ცდა — მცირე გუნდი ლიტერატორ-დოგმატიკოსთა ადიქტატორონ ცოცხალ მოძრაობაზე, იმის მაგიერ, რომ შეჰქმნან ბატონობა პროლეტარიატისა. სწადიათ პროლეტარიატს ბატონები გაუჩინონ; ერთის სიტყვით, ამგვარის მეცადიეობით სოციალ-დემოკრატებმა დიდი ზიანი მოუტანეს თავიანთ თავსა და კიდევაც მოუტანენ.

საკმარისია გავიხსენოთ პირობანი მუშაობისა უზარმაზარ რუსეთის იმპერიაში: ვინ მოსთვლის, რამდენი რაიონია ერთმანერთისაგან სრულებით განსხვავებული ჰავისა, კულტურისა, წარმოებისა, ეროვნებისა და ჩამომავლობის მხრივ! აბა რა წარმოსადგენია ის აზრი, ვითომ ყველგან ერთნაირად იყოს შესაძლო მუშაობა, რა წარმოსადგენია, რომ ყველგან ერთნაირის ზერზით იყოს შესაძლო ფონს გასვლა, ერთის პატარა ცენტრალურ წრის ხელმძღვანელობით! ვინ იცის, რა განუსაზღვრელი გონება, გამოცდილება, წინდახედულება, პოლიტიკური ალღო, ყველა ადგილობრივ პირობათა ცოდნა მოეთხოვებათ ამ წრის წევრებს, რომ მათს ბრძანებლობას მტრულად არ დაუხვდნენ, რომ მოასწროს და დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ყოველის რაიონისა, წინდაწინვე მიხვდეს ვის რა სჭირია, გამოიყენოს ახალის მოძრაობის მიერ წამოყენებულნი ძალნი? ვისაც ბევრი სწადია, ბევრიც მოეთხოვება. ვისაც პრეტენზიები განდიდებული აქვს, ისეთი რამეც უნდა ჰქონდეს, რომ კაცი ენდოს. სოციალ-დემოკრატები კი ყველაზე ნაკლებ არიან ნდობის ღირსნი. ამიტომ მათის მხრივ უარყოფა სხვა-და-სხვა ერთა სოციალისტურ ძალათა ავტონომიურ ორგანიზაციებისა უჭკუობაც იყო და უანგარიშობაცა. „სრულიად რუსეთის" სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ უკვე მოიმკო ნაყოფი თვისის ტაქტიკისა: 1) ვერცერთ პოლონურ სოციალისტურ პარტიასთან დიდხანს ვერ დაიჭირა კავშირი; 2) ეგევე მოელის ლიტვის ს.-დ. პარტიისაგან; 3) ბუნდთან სრული განხეთქილება ჩამოვარდა; 4) ქართველებსა და სომხებთან თან-და-თან მწვავდება დამოკიდებულება და აუცილებელი ხდება სრული ჩამოშორება და 5) ლატიშებსა და მცირე-რუსებთან (მოლორუს.) არავითარი დამოკიდებულება არა აქვსთ. ამისთანა გარემოებაში თვით სახელი „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პარტია" როგორღაც სასაცილოდ ეჩვენება კაცს.

რა უნდათ ქართველებს რუსეთისაგან? იგივე, რაც ირლანდიას ინგლისისაგან უნდა: ჰომრული. ისინი თხოულობენ მიენიჭოსთ უფლება თვითონვე მოუარონ თავიანთს თავს, თვითონვე შეჰქმნან თავიანთი სულიერი კულტურა, უნდათ თვითონვე გამოიყენონ ისტორიულად მოპოებული კულტურული და სულიერი კაპიტალი. დაიცვან იგი, განავითარონ და ეწივნენ ზოგადკაცობრიულ იდეალს და დაიმკვიდრონ თავისუფალი და საიმედო ცხოვრება; ისინი არ არიან ბეცი სეპარატისტები, ის კი არ უნდათ, რომ ეროვნებათ საერთო არა ჰქონდესთ რა ერთურთში; იმათ ნატვრაა ეს ეროვნებანი შეაერთონ, ერთიმეორეს მხარი მისცენ, შეკავშირდნენ; სწადიათ კავშირი, მაგრამ ძალდატანებული კავშირი კი არა, არამედ კავშირი თავისუფალი, ისე რომ მოკავშირე მხარე სრულის თანასწორობით სარგებლობდეს, შეეძლოს თავის თავს თვითონვე მოუაროს და უპატრონოს. ქართველებს უნდათ შეერთდნენ ფედერატიულად ერნი, რომელნიც შინაურობაში სრულიად დამოუკიდებელნი იქნებიან.

„საქართველოს" მომხრენი წინააღმდეგნი არიან ქართველ საზოგადოების ბურჟუაზულ ნაწილის სეპარატისტულ მისწრაფებათა. წინააღმდეგნი იმიტომ არიან, რომ კულტურული და ეკონომიური ცხოვრება კავკასიის ერთა ისე მჭიდროდ არის ერთმანერთზე გადაბმული, რომ ამისთანა გარემოებებში სახელმწიფოდ განკერძოვება საქმეს უმალ ავნებდა, ვიდრე არგებდა რასმე; გარდა ამისა, კავკასიაში ბევრგან სხვა-და-სხვა ეროვნება ერთმანერთში არეულია, ნაციონალური კითხვა მათ შორის მეტად გამწვავებულია და ასეთს დროს მეტად საფრთხილოა ცდა, რომ ამა თუ იმ ერმა ცალკე ეროვნული სახელმწიფო შეადგინოს. ასეთი ცდა უფრო დახლართავდა საქმეს. ქართველი სოციალისტები ერიდებიან არ გაამწვავონ ეს ეროვნული თავმოყვარეობა და ამიტომ სრულიად საფუძვლიანია მათი ბრძოლა ყოველგვარ „სახელმწიფო" პატრიოტიზმისა, ყოველგვარ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ. ისინი იმასდა სცდილობენ, რომ აღმოაჩინონ უფრო შესაფერი ფორმა, რომელმაც უნდა შეაძლებინოს დამოუკიდებელ ქართველ ერს მშვიდობიანად იცხოვროს სხვა დამოუკიდებელ მეზობელ ერებთან. საქართველოს ისტორიულ საზღვრებს მათთვის მნიშვნელობა არ აქვს. მათთვის საქართველო იქ არის, სადაც მცხოვრებნი ქართულად ლაპარაკობენ და თავიანთ თავს ქართველებადა სთვლიან. ამ კითხვის გადაწყვეტა ადვილად შეეძლია პლებისციტს. ხოლო იქ, სადაც ქართველებთან ერთად სხვა ხალხიც სცხოვრობს და ეს ხალხი უმცირესობას შეადგენს, ხსენებულ ხალხს უფლება აქვს თავისი ენა იხმაროს მომავალ დამოუკიდებელ საქართველოს დაწესებულებებში. სრულებით საფუძვლიანია ქართველთა აზრი, რომ ცენტრალისტურ-კონსტიტუციონური მმართველობა რუსეთისა საქართველოს ხელს არ შეუწყობს თავისუფალ ეროვნულ განვითარებისათვის. ამიტომაა, — ამბობენ ესენი, — „რუსეთის წინ დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ამართული: როგორ შექმნას ისეთი კონსტიტუცია, რომ ერთის მხრივ ემსახუროს საკუთრივ რუსების საჭიროებათა, ხოლო მეორეს მხრივ ცენტრსა და განაპირა მხარეებს შორის დაამყაროს კავშირი, ურთიერთ თანასწორობაზე აშენებული? და — დასძენენ ქართველები, — ჩვენის აზრით ასეთი კონსტიტუცია სრულს დეცენტრალიზაციაზე უნდა იქმნას დამყარებული, დეცენტრალიზაციაზე, რომელიც შემდეგში უეჭველად გადაიქცევა დიდ ფედერაციად". მათის აზრით ამას მოითხოვს არა მარტო ქართველთა, არამედ საერთოდ რუსების თავისუფლების ინტერესებიცა. მათის აზრის ფორმულად ზედგამოჭრილია აზრი ლერუა-ბოლიესი, ამ მსწავლულმა რუსეთის შესახებ რომ წარმოსთქვა: „ზოგიერთნი, ნაციონალურის პრეტენზიებით დაბრმავებულნი, ჰფიქრობენ, რომ რუსის ხალხი ეღირსება პოლიტიკურ განთავისუფლებას და იმავე დროს შეუძლია ეროვნულად მონობაში ამყოფოს ვრცელი ევროპიულად განათლებული პროვინციები, ამყოფოს პოლიტიკურ მონებადო. მაგრამ ეს მწარე შეცდომაა და დრო და გარემოებაც გვაჩვენებს ამას. მეორეს მხრივ, უსაფუძვლოა იმის თქმაც, ვითომ შესაძლო იყოს ყველა ეროვნებათათვის ერთნაირის დაწესებულების შემოღება და ერთგვარის, გამაერთიანებელის კონსტიტუციის დამყარება. ამის წყალობით არევ-დარევა მოჰყვება ახალს რეჟიმს და წინდაწინვე შეიძლება იმისი თქმა, რომ ამის გამო ხეირი არავის დაეყრება".

რუსეთის ს.-დ. კრებამ და მათ მიერ მიღებულმა რეზოლუციამ ქართველ სოციალისტ-ავტონომისტებს იმედის ნატამალიც კი გაუქრო. ამ გარემოებამ „საქართველოს" რედაქცია აიძულა მეტად მკვახედ მოეჰკიდებოდა რუსეთის ს.-დ. ახალს პროგრამას, ხოლო მისი საორგანიზაციო პრინციპი „მეტად ველურ და თავისუფალ მოქმედების შემბორკველ" პრინციპად აღიარებინა, შემბორკველად იმ თავი-

სუფალ მოქმედებისა, რომელიც ესდენ საჭიროა ცოცხალ სარევოლუციო ბრძოლისათვის.

რუსეთის ს.-დემოკრატები მსხვერპლად სწირავენ ამ სამოქმედო თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს, როგორც თითონ ამბობენ, მოქმედებათა გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. მაგრამ თუ ჰგონიათ, რომ ერთიანობა თავისუფლებასთან ვერ მოთავსდება, მაშინ ცუდად იქნებოდა საქმე თავისუფლებისა და ერთიანობისაც. ჩვენის აზრით კი, სოციალისტები, რუსებსა, ქართველებსა და სომხებს შორის რომ მუშაობენ, სამპიროვანს ორგანიზაციას უნდა შეადგენდნენ: სახელდობრ, ყოველ დიდ ქალაქში ქართველთა, სომეხთა და რუსთა კომიტეტები ერთად უნდა შეადგენდნენ „ გაერთიანებულ კომიტეტს ", რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ხოლმე, თუ როდისთვის უნდა დაინიშნოს დემონსტრაცია, საერთო გაფიცვის გამოცხადება, დაშინება ადგილობრივ მთავრობის პირთა და დაწესებულებათა, შედგენა მებრძოლ რაზმთა და სხვ. მთელ კავკასიისათვის უნდა არსებობდეს ამნაირივე გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც განიხილავს მთელის მხარის მოძრაობას საერთოდ, მისს საჭიროებას, ზომავს, როდის შეუძლიათ მთელის მხრის ძალთა საბრძოლველად ერთად ერთ დროს გამოსვლა. რაც შეეხება კერძო საჭიროებას საკუთრივ ქართულ, საკუთრივ სომხურ და საკუთრივ რუსულ მწერლობითსა თუ სიტყვიერ პროპაგანდას, აგიტაციას, მომზადებას — ყოველივე ეს ეკითხებოდეს იქნება ავტონომიურ ორგანიზაციებსა და კომიტეტებს. თუ ვინმე გვეტყვის, რომ ასეთი ორგანიზაცია მეტად რთული იქმნებაო, ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ხსენებული რთული ორგანიზაცია გამოწვეულია გართულებულ ცხოვრებით, რომლის გასადავება სურვილისამებრ ჩვენს ქეიფზე ყოველთვის არ ძალგვიძს.

## რა ხდება დღეს პოლონეთში

ომი ის დერძია, რომლის ირგვლივაც ტრიალებს დღეს რუსეთის ცხოვრება და ვისაც უნდა გაიგოს, თუ რა ცვლილებანი უნდა მოხდეს ამ უახლოვესს მომავალს რუსეთში, უნდა ჩაუკვირდეს იმას, თუ რა აზრი ტრიალებს რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებსა და წრეებში ომის შესახებ.

დავიწყოთ ჩვენი დახასიათება პოლონეთით.

გამოცხადდა ომი თუ არა პოლონელ ზომიერებმა, ეგრედ წოდებულ « უგოდოვცებმა », ამ « დინჯ და მოსაზრებულ » პოლიტიკის მიმდევრებმა, გამოუცხადეს რუსეთის მთავრობას თავიანთი თანაგრძნობა, ფიცხლავ შეუდგნენ სანიტარულ რაზმთა შედგენას. დანარჩენ, ნაწილმა მათ იმით გამოუცხადა თავისი მადლობა, რომ მათ წინააღმდეგ ზედი-ზედ გამართულ მანიფესტაციების დროს ჩაუმტვრია ფანჯრები და კარებები.

რუსეთის მთავრობა არ დაკმაყოფილდა ამგვარის თანაგრძნობით; მან მოისურვა გაეღვიძებინა რუსული პატრიოტული გრძნობა პოლონელ გლეხობაშიაც. ამისათვის დაგზავნილ იქმნენ სოფლად მაზრის უფროსნი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ჩაეგონებინათ გლეხთათვის, რომ გამოეღოთ საზოგადო თანხებიდან ფული წითელ ჯვრის სასარგებლოდ. გლეხებმა ყველგან უარი სტკიცეს. ერთგან გაბრაზებულმა ბოქაულმა შეუტია გლეხებს: « ჩვენ ძალღებად ხომ არ მიგაჩნივართ, რომ გთხოვთ და არ იძლევითო ». — « მართალს ბძანებთო » — მოახსენეს გლეხებმა ». რაკი მოხელენი თხოვნით ვერას გახდნენ, ძალას მიმართეს. ჩაფრები ართმევენ გაჯიუტებულ გლეხთ ქათმებს და კვერცხებს, აგირავებენ ამეებს დუქნებში, დეე გლეხებმად აიხსნანო. და ამგვარად შეგროვილი ფული შეაქვთ როგორც « ნება-ყოფლიობით შემოწირული ».

რა საკეთებენ ამ დროს პოლონეთის სოციალისტური პარტიები? პირველ მაისს ვარშავაში პოლონეთის სოც. პარტიამ (პ. პ. ს.) მოახდინა მანიფესტაცია, დაესწრო 50000 კაცი. იმავე დღეს გაიმართა ბუნდის ხელმძღვანელობით მეორე მანიფ. ვარშავაშივე, სადაც დაესწრო 5000 მუშა. ამრიგად გამოუცხადა რუსეთის მთავრობას პოლონეთის პროლეტარიატმა თავისი თანაგრძნობა!

საუცხოვო საქმიანობა გამოიჩინეს პოლონელ რევოლუციონერებმა: აუარებელ პროკლამაციებს გარდა, პ. პ. ს. დაარსა ყოველდღიური გაზეთი « Kuryerek », სადაც განიმარტება ხოლმე მხოლოდ ომის მიერ წამოყენებული კითხვები.

რუსეთის მთავრობასაც არა სძინავს, რასაკვირველია. მთელი პოლონეთი ავსებულია ჯაშუშებით (რომელთაც უმოწყალოდ ჟლეტენ რევოლუციონერები), პოლიციელებით; ჯარი ყოველ წუთს მზადაა გავიდეს საომრად. ამასთანავე რუსეთის მთავრობაავრცელებს პოლონეთში მცხოვრებ რუსთა შორის ჭორებს: « ფრთხილად იყავით, პოლონელებს სწადიათ თქვენი ამოჟლეტაო ». ამით ვითომ და სურს დასთესოს ეროვნული მტრობა პოლონელთა და რუსთა შორის და გააბოროტოს უკანასკნელნი.

მაგრამ თვით რუსეთშიათ ეცლება ქვემიდან ნიადაგი მთავრობას... მაგრამ ამაზე შემდეგ.

## სამხედრო რუსეთის უძლურება

ამ სათაურით საფრანგეთის ცნობილმა ისტორიკოსმა, შარლ სენიობოსმა, საყურადღებო წერილი დასტამბა გაზ. « L'Eropeen »-ში (№ 128). მოგვყავს ამ წერილის უმთავრესი ადგილები:

„ რუსების დამარცხებამ პორტ-არტურსა და იალუზე გააკვირვა საფრანგეთის და ევროპის საზოგადოების ერთი ნაწილი. ყველას ეგონა, რომ ძლიერი რუსეთი გასრესდა პატარა იაპონიას. ხოლო კარგად რომ სცოდნოდათ რუსეთის სამხედრო ისტორია, ნაკლებად იქმნებოდნენ გაკვირვებულნი, რადგან დღევანდელი ამბები ფრიად მიაგვანან იმას, რაც უკვე არაერთხელ მომხდარა წარსულში.

შვეციის ჯარის გაწყვეტის შემდეგ პოლტავაში 1709 წელს, რუსეთი პირველ ხარისხოვან სახელიწიფოთა რიგში წამოსკუპდა. ხოლო ამ დროიდამ, ორ საუკუნის განმავლობაში,

რუსეთი გამარჯვებული რჩებოდა მხოლოდ სუსტ სახელმწიფოებსა და პატარა ერებთან მეტაკების დროს. რუსეთი იმარჯვებდა პოლონეთზე, შვეციაზე, ოსმალეთზე, ყირიმის თათრებზე, სპარსელებზე, ხივის ხანზე, ჩერქეზებზე, ჩინელებზე, ხოლო არც ერთ ძლიერ სახელმწიფოსთან მეტაკებაში გამარჯვებული არ დარჩენილა.

თავისდღეში სხვის დაუხმარებლივ არ დაუმარცხებია ძლიერი, მოწყობილი სახელმწიფო. როცა ამგვარ სახელმწიფოსთან საქმე ჰქონია, მარტო არ გამოსულა, არამედ კოალიციაში, როგორც, მაგ., პრუსიის წინააღმდეგ „შვიდი წლის ომში", საფრანგეთის წინააღმდეგ ოთხ დიდ ომში 1799, 1805, 1806, 1814. ავსტრია არასოდეს არ დაუმარცხებია, არც პრუსია 1763-დამ. საფრანგეთმა, რომელიც თითქმის ერთად-ერთი მტერი იყო მისი, ძლიერად დაამარცხა რუსეთი ცურიხსა, ოსტერლიცსა, ფრიდლანდსა, სმოლენსკსა, მოსკოვსა და ინკერმანში. ნაპოლეონის არც ერთი დამარცხება (ლეიპციგსა და ვატერლოში) არ იყო რუსების მიერ გამოწვეული. რუსეთში რომ იყო ფრანგების ჯარი, „ბატონმა ზამთარმა" გასწყვიტა და სხვამ არავინ. ამ ძველ ისტორიაში მხოლოდ ორი გამარჯვება უნდა მივაწეროთ რუსეთს: — კუნერადორფში (1759), სადაც რუსები თავს იცავდნენ პრუსიელების პატარა ჯარის წინააღმდეგ და იტალიაში (1799) საფრანგეთის აშლილ ჯარის წინააღმდეგ. არც ერთ ევროპიელ სახელმწიფოს წარსული (ავსტრიის წარსულიც კი) მხედრობის მხრივ არ არის ისეთი უფერული და უმნიშვნელო.

სუსტ მეზობლებთან ომებშიაც კი ხშირად მარცხდებოდა რუსეთი, როგორც 1828 და 1877 ოსმალებთან მეტაკების დროს და 1793 და 1830 პოლონელ მეამბოხეთა დაშოშმინებისას. ხშირად ამგვარი ომი გაუთავებელი იყო ხოლმე, დიდ მსხვერპლს ითხოვდა რუსეთისაგან, როგორც მოხდა, მაგალითად, 1736 — 39, 1769 — 92, 1806 — 12 წლების ომებში. და 1711 წელს ხომ ოსმალეთმა დაიმარცხა რუსეთი და კავკასიასა და თურქესტანში ხომ უთვალავი იყო მათი მარცხი. ფრედერიკ II-მ 1769 წლის ომის შესახებ სთქვა: « C'est la guerre des borgnes contre les aveugles » (1). ამ აზრშია გამოხატული ის, თუ რა ხასიათის გამარჯვება რჩებოდათ რუსებს თავიანთ მტრების წინააღმდეგ.

მაშ რატომ უნდა ჰქონდეს რუსეთს ძლიერ სახელმწიფოს პრესტიჟი? რატომ სჯეროდა ევროპას ნიკოლოზ პირველის ძლიერება იმ დღემდე, როდესაც, ყირიმის ომის წყალობით, მისი სახელი უეცრად შეირყა? რატომ გვაქვს იგივე ილუზია ნიკოლოზ II ძალის შესახებ? ალბათ იმიტომ, რომ რუსეთს დიდი ტერიტორია უჭირავს და მან გააოცა ქვეყანა თავის სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებით. ავიწყდება, რომ რუსეთს ამ შემთხვევაში ან პატარა ერებთან, ან დასუსტებულ სახელმწიფოსთან ჰქონია ყოველთვის საქმე, რომ ავსტრია და პრუსია ეხმარებოდნენ პოლონეთის გაყოფის დროს.

და 1904 წელს რუსეთი მ ა რ ტ ო გამოდის პირველად კარგად მ ო წ ყ ო ბ ი ლ სახელმწიფოსთან საბრძოლველად. ნაყოფს უკვე ვხედავთ. იაპონელების სწრაფი იერიში სასოწარკვეთილებაში აგდებს რუსეთის მხედრობას. ამგვარი სასოწარკვეთილება რუსის ჯარში, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ჩვეულებრივი მოვლენაა თითქმის ყოველ ომის დასაწყისში. ასე იყო მაშინაც, როდესაც უფრო სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავდა რუსეთს, 1793 და 1830 პოლონელები და 1828 და 1877 ოსმალები. ხოლო დღეს ამ სასოწარკვეთილებას უფრო ხასიათო შედეგი მოჰყვება, რადგან იაპონელები, აშკარაა, თანამედროვე სტრატეგიის მოთხოვნილებისამებრ მოქმედებენ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მტერს დამარცხების შემდეგ მოსულიერება არ აცალოს, არც მისცეს დრო.

რუსეთის ამ ხასიათის გამუდმებულ უძლურებას უნდა ჰქონდეს თავისი მიზეზი. ამის დასახელება ძნელი არ არის. რუსეთს გულადი ჯარის-კაცები ჰყავს, რადგან ომში როცა არიან, მტკიცედ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მიუხედავად იმისა, რომ ომი მათ თვალში ცოდვაა. ხოლო თანამედროვე ომი მარტო ჯარის-კაცებზე არ არის დამოკიდებული, ომის გამოვლისათვის საჭიროა ტეხნიკური იარაღები: არტილერია; საჭიროა საკმარისად დამზადებული ტანისამოსი, ტყვია-ყუმბარები, სურსათი, და ყოველივე ეს უნდა იყოს კარგის ღირსებისა, სწრაფად უნდა მოდიოდეს სწორეთ იქ, სადაც მოთხოვნილებაა. არ ვარგა, როცა მეომრებს გაჭირების დროს ზარბაზანი, ტყვია-წამალი, ტორპილები და სანოვაგე დააკლდებათ ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ მოიჯარადრემ, ან მოხელემ ამისათვის საჭირო ფული ჩაჯიბეს, ან კიდევ იმიტომ, რომ მთავარ-სარდალს თავის დროზე არ მოაგონდა ბრძანება გაეცა. და ამგვარი მოვლენა კი აუცილებელია იმ ქვეყანაში, სადაც მოხელეების მოქმედება უკონტროლოა, სადაც მათ არ ეშინიანთ საზოგადოების გაკიცხვისა. პატრიარქულ მმართველობას არ ძალუძს თანამედროვე ომის გამოვლა... თუ რუსეთის მთავრობას ჰსურს ძლიერი იყოს ომის დროს, თუ ჰსურს, რომ ევროპის ნდობა არ დაეკარგოს ფინანსების მხრივ, საჭიროა გაიგოს, რა პირობების წყალობით შეუძლია თანამედროვე სახელმწიფოს ძლიერება მოიპოვოს. იაპონია მხოლოდ მაშინ გაძლიერდა, როცა შესცვალა თავისი შინაური წეს-წყობილება ".

(1) „ კოჭლების ომი ბრმების წინააღმდეგ ".

## ფოსტის ყუთი

**მეგრელს** — მივიღეთ. იბეჭდება ვეცდებით ცალკე დავბეჭდოთ. მოგვაწოდეთ ახალი ამბები,

* * — წერილი დიმიტრი ეპისკოპოსის გამოცემების შესახებ მივიღეთ. გმადლობთ. დაიბეჭდება. სხვასაც ველით.

**მეგობრებს** — « სასულიერო მოამბე » მივიღეთ და შიგ ხუცურ ენაზე დაბეჭდილს ლოცვებს (რომ გამარჯვება მიანიჭოს ღმერთმა ნიკოლოზ II-ს) ვამბობთ, დილით და საღამოთი. რეზულტატი ტელეგრამებში მონახეთ ხოლმე. (ამწ.).

## განცხადება.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართველ რევოლუციონერთა პირველ კონფერენციის ოქმები.

გაზ. „ საქართველოს " სტამბა. 51, rue Saint-Sauveur, Paris.